საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2017 წლის 30 აგვისტო

ქ. საგარეჯო

,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/01/2017 წ., 010250050.35.165.016257) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების დანართი №1-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 798000 ლარს.“.

2. დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

№	პროგრამის დასახელება	ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა	სოციალური დახმარების მოცულობა	
			ერთ პირზე/ოჯახზე	სულ
1	2	3	4	5
1	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახები		100	74 000
2	პირველ და მეორე შვილზე ახალშობილთა ოჯახების დახმარება		100	2500
3	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება		200	9100
4	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი დახმარება		100	1500
5	სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბოლატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ღირებულების 70%-ით შშმ პირების რეაბილიტაცია არაუმეტეს 500 ლარით.		1000	180500

6	ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება ღირებულების 70%-ით		1000	94000
7	ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დაფინანსება		100 და 500 ლარის ოდენობით	118000
8	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 0-დან 120000-მდე, ონკოლოგიური ავადმყოფები და ომის მომაწილეები სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონოროგრაფიის და ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსება (რომელიც არ არის გათვალიწინებული სხვა პროგრამით)		არაუმეტეს 500 ლარისა	46500
9	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (18 წლამდე)	75	50 50 50 50	12 500
10	უდედმამო ბავშვები (18 წლამდე)	5	50	3000
11	უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი		300	9000
12	საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები		250	3000
13	დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯები	3	300	900
14	ა) სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება	10	100	6000
	ბ) სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება (ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით)	10	100	
	გ) სამამულო ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები		250	
15	აიპ ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ უფასო სასადილოს დაფინანსება	230		155000
16	სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის კომპენსაცია)	26-28	125	34500

17	ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ოფისი			9000
18	ოთხმოცდათხუტმეტ წელს გადაცილებული ხანდაზმულებისათვის საჩუქარი		100	2000
19	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	16	100	19 000
20	ს. უდაბნოდან ქ. საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ მთელი წლის განმავლობაში			8000
21	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომო სასურსათო ამანათების გადაცემა			10000
	სულ			798000

“

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ფრიდონ ბურდული**